# საქართველო

№ 16 ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 2 ოქტომბერი 1942 წ.

# ბრძოლები სტალინგრადის ქუჩებში

მძაფრი ბრძოლები მძვინვარებენ სტალინგრადის ქუჩებში. ბოლშევიკები სასოწარკვეთილნი არან. სტალინგრადთან წყდება არა მარტო ზაფხულის კამპანიის, არამედ მთელი ფრონტისა და შემდგომი ოპერაციების ბედი. სტალინი, წითელი არმიის მარშლები გრძნობენ მოახლოებული კატასტროფის მთელს საშინელებას. ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლით, სამხედრო დოვლათის უამრავი დაკარგვით საბჭოთა არმიისათვის გამანადგურებელი იერიშებით შეეცადნენ ბოლშევიკები ფრონტის ჩრდილო ნაწილში გერმანელთა პოზიციების გარღვევას, რათა შეემსუბუქებინათ უძლეველი დარტყმა სტალინგრადზე. ეს ცდა მწარე შედეგით დასრულდა.

გერმანიის ჯარის მოწინავე ნაწილები ქალაქის გარეუბნებიდან შეიჭრნენ სტალინგრადის გულში. ყოველ კვარტალში მიმდინარეობს ქუჩაზე ძლიერი ბრძოლები. თვითეული სახლი, ნაგებობა გადაქცეულია თავისებურ სიმაგრედ, მათ გარს არტყიათ ბარიკადები. გერმანიის ჯარის მამაც ფეხოსნებსა და მესანგრეებს უხდებათ თანმიმდევრად დაანგრიონ და დაიუფლონ შენობა შენობაზე, სიმაგრე სიმაგრეზე. ქალაქის სამხრეთ ნაწილში გერმანელებმა შეძლეს გაერღვიათ მორიგი, ძლიერ გამაგრებული პოზიცია და დაეკავებინათ ახალი სივრცე.

ბოლშევიკები გააფთრებული იერიშებით ამაოდ ილწვიან გაშალონ რკინისებური რკალი, რომლითაც გარშემორტყმულია საბჭოთა ჯარი. 23 სექტემბერს ერთ-ერთ კონტრატაკისას სტალინგრადის ჩრდილოეთით წითლებმა აურაცხელ დანაკარგთან ერთად დასტოვეს 34 ტანკი.

უდიდეს როლს თამაშობს გერმანიის ავიაცია, რომელიც გაბატონებულ ძალას წარმოადგენს ჰაერში. ინგლისამერიკის ჟურნალისტებსაც არ შესწევთ ძალა დამფარონ გერმანიის ავიაციის სიძლიერე. ახეულობით გერმანული ავიაგამანადგურებლები ყუმბარებს უშენენ ქალაქის ცენტრს, რკინიგზის კვანძებს, ჰაეროდრომებს, ვოლგაზე გემებს,გადასავლელებს. სტალინგრადი ჰგავს ნანგრევს.

პლუტოკრატიული პრესა შეშფოთებულია. საქმე მიდის სტალინგრადის დაცემამდე. რამდენიმე ხნის წინად ინგლისური და ამერიკული გაზეთები სწერდნენ, რომ სტალინგრადის დაცემა მთელი საბჭოეთის ერთიანი, მორალური დაცემაა. მათ ახლა შესცვალეს ტონი; ამბობენ: სტალინგრადმა დაჰკარგა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობაო. საკვირველი არაფერია. ეს ინგლისისათვის ჩვეული ჰანგია.

ზოგიერთი გაზეთები პლუტოკრატულ ბანაკიდან სწერენ: „სამხედრო მდგომარეობა სტალინგრადში უკანასკნელ დღეებში საბჭოთა კავშირისათვის მძიმე სტადიიდან სასოწარკვეთილების სტადიაში გადავიდა... სტალინგრადის დაცემა სამუდამოდ მოსპობს საბჭოთა შემტევ ძლებს."

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი ჰგოდებს იმაზე, რომ საბჭოთა არმიას სტალინგრადის დაცემის შემდეგ აღარ შესწევს ძალა დაიჭიროს აღმოსავლეთის ფრონტი, რომ გერმანია აიღებს რა სტალინგრადს, წითელი არმია გაიყოფა ორ ჯგუფად, ჩრდილოეთსა და სამხრეთ ჯგუფს შორის გაწყვეტილი იქნება კავშირი.

სტალინგრადი იწვის. ინგრევა და ნაცარ-მტვრად იქცევა ბოლშევიკების ისტორიული ციხესიმაგრე.სტალინს ვერ უშველა „ძველმა გამოცდილებამ." სტალინგრადის დაცემასთან ერთად იმარხება ბოლშევიკების იმედი. გააფთრებულ იერიშებს რჟევთან, ილმენის ტბასთან, ფრონტის ჩრდილო ნაწილში, არ შეუძლიათ ოდნავადაც შეამსუბუქონ უნუგეშო მდგომარეობა. წყდება მთელი საბჭოთა ფრონტის ბედი. განწირული სტალინგრადი დღე-დღეზე ელის დაცემას.



ცეცხლი და სქელი კვამლის ღრუბლები სტალინგრადზე.

## იწვიან ჰაეროდრომები...

გაზეთი „კრასნაია ზვეზდა" გულდაკოდილი ჰგოდებს და მოაგონებს საბჭოთა კავშირის მოსახლეობას ქალაქ სტალინგრადის დიდს მნიშვნელობას. სტალინგრადს, გაზეთის სიტყვით, გადამწყვეტი როლი უჭირავს მთელს აღმოსავლეთის ფრონტზე. იგი გაცილებით მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრია, ვიდრე მოსკოვი. სტალინგრადი დიდ სამხედრო სიმაგრესთან ერთად არის უზარმაზარი მორალური ფაქტორი საბჭოთა ხალხისათვის. ამ დიდი ფაქტორის დაკარგვით ბოლშევიკები ჰკარგავენ უძლიერეს სამრეწველო ცენტრს, მრეწველობის კერას, ნაოსნობის საშუალებას, ნავთს.

ბოლშევიკები ამაოდ ცდილობენ გასტეხონ გერმანელთ დაწოლა სტალინგრადზე. ქალაქის აღმოსავლეთით დღისით და ღამით ბომბარდირებას განიცდიან სამხედრო ჰაეროდრომები, ცეცხლის ალშია ნავთის საწყობები. ვოლგაზე და მის შესართავთან 25 სექტემბერს ჩაძირული იქნა 2 საბჭოთა გემი. ამავე დღეს გერმანიის ავიაციამ ააფეთქა სამხედრო მასალებით დატვირთული საბჭოთა მატარებელი.

## 172 საჰაერო გამარჯვება

ადოლფ ჰიტლერმა ობერლეიტენანტი გრაფი ჰერმანი, საავიაციო ერთეულის მეთაური, დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი რაინდობის ჯვრით ხმლებითა და ბრილიანტებით რკინის ჯვრისა, როგორც გერმანიის შეიარაღებული ძალების მეხუთე ოფიცერი. უკანასკნელ დღეებში გრაფმა ჰერმანმა ჩამოაგდო მტრის 172 თვითმფრინავი.

## ფელდმარშალ კაიტელის 60 წელი შეუსრულდა

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს გერმანიის ჯარის უმაღლესი სარდლობის უფროსს, ფელდმარშალ ვილჰელმ კაიტელს შეუსრულდა დაბადებიდან 60 წელი.

ფელდმარშალ კაიტელმა სამხედრო მოღვაწეობა და სამსახური დაიწყო 1901 წლიდან. პირველი მსოფლიო ომის დროს 1914 წელს, მარნის ბრძოლებში სიმამაცისათვის მან მიიღო ჯილდოთ პირველი ხარისხის ჯვარი. 1938 წლიდან კაიტელი ასრულებს გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის უფროსის მოვალეობას. პოლონეთის კამპანიისას ფელდმარშალ კიტელს მიეცა ჯილდოთ რაინდობის ჯვარი.

საფრანგეთთან ბრძოლისა და ზავის დადების შემდეგ გერმნიის ხალხის ბე-



ლადმა ადოლფ ჰიტლერმა კაიტელი დანიშნა გენერალ-ფელდმარშლად.

## აღებულია ქალაქები ვლადიმირსკაია და თერგი

გერმანიის ჯარის სარდლობის 21 სექტემბრის ცნობით, გერმანიის სატანკო ნაწილებმა ხუთსაათიანი ბრძოლის შედეგად აიღეს სამხედრო - სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი ვლადიმიროვსკი, მდინარე თერგის აღმოსავლეთით მაისკი -ორჯონიკიძის რკინისგზის კვანძზე.

მიუხედავად მტრის სასტიკი წინააღმდეგობისა, მრავალრიცხოვან სიმაგრეებისა და ნაღმებით მოფენილ ველებისა, გერმანიის ჯარმა მიაღწია გამარჯვებას, მტერმა ვერ შესძლო შეეჩერებინა გერმანელთა იერიშები. ამ ბრძოლებში მარტო ერთი დივიზიის უბანში ამოღებულ იქნა 1000 მინა. აღნიშნული სიმაგრეთა გადალახვის შემდეგ გერმანელებმა ვრცელ ჭაობებზე განაგრძეს სვლა სამხრეთის მიმართულებით და აიღეს ქალაქი თერგი, მდებარე მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე.



## დიდი აზიის სამინისტრო

1 ოქტომბერს დასრულდა მოსამზადებელი მუშაობა იაპონიის დიდი აზიის სამინისტროს შექმნისათვის. მის ხელმძღვანელად შერჩეულია აოკი. იაპონია 1 ოქტომბრიდან პრაქტიკულად შეუდგება მის მიერ აზიაში ალებულ ტერიტორიათა ორგანიზაციას. სამინისტროს ქვემდებარებაში იქნება ტერიტორია დაწყებული საბჭოთა ციმბირის საზღვრიდან, შიდა მონღოლეთის ჩათვლით, მანჯუკო და მთელი ჩინეთი (თეორიულად), გადავა სამხრეთით ბირმაზე, სიამზე, ფრანგულ ინდო-ჩინეთზე და თავის არეში მოაქცევს ყოფილ ჰოლანდიის კუნძულებს, ინგლისურ ბორნეოს ნაწილს, ინგლისის სამფლობელოებს ახალ გვინეამდე.

სამინისტროს გავლენის სფეროში შედის აგრეთვე ფილიპინები და წყნარი ოკეანის მრავალი კუნძულები, სადაც ჯერ კიდევ ძნელია საზღვრის გარჩევა. სამხრეთ ჩინეთი იმყოფება ჩუნკინგის ხელისუფლების ხელში, იგი ჯერ-ჯერობით არ შედის ახალი სამინისტროს მფლობელობაში. სამინისტროს მფლობელობაში მყოფი ტერიტორია აღწევს 16 მილიონ კვადრატულ კილომეტრს (ინდოეთის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გამოკლებით) 750 მილიონი მოსახლეობით. ამ ტერიტორიაზე მოდის კალის მსოფლიო მოპოების 60 პროცენტი, კაუჩუკის — 96 პროცენტი, შაქრის — 40 პროცენტი.

## მღელვარება ირანში

მღელვარებამ ახალი ძალით იფეთქა ირანში და მოიცო ქვეყნის მნიშვნელოვანი სივრცეები. ეს გარემოება აიხსნება იმითი, რომ უკანასკნელი კვირის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სამხედრო ხელისუფლებამ, რომელსაც ახლა ესაჭიროება ახალი სამხედრო ძალები კავკასიის დასაცავად, ჩრდილო ირანიდან გაიყვანა თავისი საოკუპაციო არმიის დიდი ნაწილი თავისი იარაღით.

ჩრდილო - ირანის ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც გრძნობს ზამთრის საშინელების მოახლოებას, ცდილობს დაეცეს სურსათ - სანოვაგის საწყობებს, რომელთაც წითელი არმია იცავს. ამის გამო საქმე ხშირად მიდის სისხლიან შეტაკებამდე მოსახლეობასა და წითელარმიელთა შორის.

## განწყობილებანი დიეპის შემდეგ

მძიმე დანაკარგის ცნობების გამოქვეყნებამ, რომელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს კანადის ჯარს, კანადაში უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისის სარდლობისადმი. დიეპში გადმოსხმულ დესანტის უმრავლესობას კანადელები შეადგენდნენ.

კანადის სამხედრო წრეები მსჯელობენ რა დესანტის გადასხმისათვის არჩეულ ადგილის ირგვლივ, ამბობენ: „ის, ვინც იცნობს დიეპის სანაპიროებს, მისთვის ნათელია, რომ დესანტის იქ გადასხმა არის ტაქტიკური შეცდომა". კანადის პრესა აღნიშნავს, რომ დესანტის გადასხმა კონტინენტზე და საფრანგეთის დაპყრობა უნდა ყოფილიყო წარმოებული სავსებით სხვა ადგილს, სხვა ხერხით, ვიდრე დიეპში.

## რა არის „ბრუტტო-ტონა"?




## მადაგასკარზე

ოფიციალური ფრანგული ცნობების მიხედვით საფრანგეთის ჯარმა მადაგასკარის დედა - ქალაქიდან ტანანარივიდან 280 კილომეტრზე ალყა შემოარტყა ინგლისის ჯარის ერთ-ერთ კოლონას, რომელიც მიემართებოდა მადაგასკარის შუა ნაწილისაკენ.

ნავთსადგურ მორანდოვოს რაიონში, სადაც ინგლისელებმა გასულ კვირაში გადმოსხეს დესანტი, ფრანგთა წინააღმდეგობა აღმოჩნდა იმდენად ძლიერი, რომ ინგლისელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ მორანოდოვო.

საფრანგეთის გუბერნატორმა ანემ მოახსენა ვიშის ხელისუფლებას, რომ ჯარი და მოსახლეობა ასეთივე ენერგიულობით განაგრძობს ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლას.

## მოკავშირეთა განადგურება ზღვაზე

უდიდესი საზღვაო ბრძოლები მიმდინარეობენ მსოფლიოს წყლებში. რადიოს ყოველდღიურად მოაქვს ცნობები გერმანიისა და მისი მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვებებზე შორეულს უბეებში, ზღვებში, ოკეანეებში. 13 სექტემბერს გერმანელებმა ჩასძირეს მტრის გემები, რომელთა საერთო წყალწყვა 121 500 ტონას უდრის. ერთი კვირის განმავლობაში ინგლის - ამერიკის საზღვაო ფლოტმა ატლანტიის ოკეანეში გამართული საზღვაო ბრძოლის შედეგად დაჰკარგა 122 ათასი ბრუტო-ტონა. ამ რიცხვს უკვე მიემატა ახალი ასი-ათასი ბრუტო-ტონა. ომის სხვა და სხვა თეატრებზე ერთ დღეს მტერმა დაჰკარგა 19 გემი. მოკავშირეებმა გამანადგურებელი მარცხი განიცადეს ყარიბის ზღვაში, წმინდა ლავრენტის უბეში, აფრიკის სანაპიროებთან, ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში.

ინგლისმა, როგორც ვიცით, ივლისის პირველ რიცხვებში საშინელი კატასტროფა იგემა. ჩრდილოეთის წყლებში გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს და გაანადგურეს ინგლისის დამცველ გემთა მსხვილი ქარავნები. ჩერჩილმა კვლავ მოიკრიფა ძალა, სცადა ავიაციის დახმარებით, გაძლიერებული სამხედრო დამცველი გემების ქარავნებით გადაეტანა ბოლშევიკებისათვის საჭირო შეიარაღება. ვებერთელა ქარავნიდან, რომელიც 45 გემისაგან შესდგებოდა, გერმანიის წყალქვეშა ნავებისა და ავიაციისაგან ჩაძირული იქნა 25. უკანასკნელად მიღებულ ცნობათა მიხედვით, ზღვის სიღრმეში ჩაეშვა აგრეთვე დაზიანებული 8 გემი. მისდევდნენ რა უკუქცეულ მტერს, მამაცმა გერმანელმა წყალქვეშელებმა კვლავ ჩასძირეს 5 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 29 ათას ტონას აღემატება.

ბოლშევიკები, რომლებიც თავიანთ აღსასრულს დღე-დღეზე ელიან სტალინგრადთან, საჭიროებენ ინგლის-ამერიკის დახმარებას სამხედრო საჭურველით, შეიარაღებით. დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ მიზნის განსახორციელებლად გააჩნიათ ორი გზა: ერთია სპარსეთის უბე, მეორე — ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე ნავთსადგურებით: არხანგელსკი და მურმანსკი. გზა სპარსეთის უბით და ირანით მეტად სახიფათოა; ამგვარად მოკავშირეებს დარჩათ ერთი — დაებმარონ მოსკოვს ჩრდილოეთის ზღვით.

ცნობილია, რომ არხანგელსკის ნავთსადგური ხელსაყრელია ნაოსნობისათვის. გზა არის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი სასიცოცხლო არტერია სამხედრო მასალისა და შეიარაღების შევსების მისატომ მურმანსკი და მურმანსკის რკინის ვის მხოლოდ ზაფხულის თვეებში, ამილებად.

ბოლშევიკებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოკავშირეთა დახმარება იარაღით. მოსკოვი განუწყვეტლივ გასძახის ლონდონს, გამოთქვამს უკმაყოფილებას. საბჭოთა პრესა აღშფოთებულია ინგლისელთა უბადრუკობითა და ლოყლაპიობით. „პრავდა", „იზვესტია", საბჭოთა პრესა აღნიშნავს, რომ ახლა საბჭოთა კავშირის უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლად საჭიროა ინგლისმა დასავლეთ ევროპის სანაპიროებზე გადმოსხას მრავალრიცხოვანი ჯარი, ათეული დივიზიობით.

ბოლშევიკებისათვის საჭიროა იარაღი, თვითმფრინავები; ინგლისი ვაი-ვაგლახით აგროვებს მათ, ტვირთავს გემებს, იარაღი კი მამაცი გერმანელი წყალქვეშელების სიფხიზლის შედეგად ზღვაში ილუპება.

მოკავშირეთა გამუდმებული მარცხი ზღვაზე აშფოთებს სტალინს. მეორე ფრონტის გახსნის იმედი ამაო აღმოჩნდა. ჩერჩილის ავანტიურებმა დიეპში; ტობრუკში ვერ შესძლეს მძიმე მდგომარეობის ოდნავი შემსუბუქებაც კი. ინგლისი არ ჩქარობს, გახსნას მეორე ფრონტი. ჩერჩილი კარგად გრძნობს, რომ ახლა ომის მთელი სიმძიმე, რომელიც კიდევ უფრო საშინელი გახადა კატასტროფებმა ზღვებზე, მთლიანად აწევს მხრებზე წითელ არმიას.

ჩერჩილსა და სტალინს შორის უთანხმოება დღითი-დღე იზრდება. ანგლოსაქსონური პრესა უძლურია დამალოს ის კონფლიქტი, რომელიც ახლა მოკავშირეთა ბანაკშია. გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი" სწერს, რომ ლონდონსა და მოსკოვს შორის მეორე ფრონტის შესახებ წარმოებული ლაპარაკი გადაიქცა კონფლიქტად, სერიოზულ უთანხმოებად. 19 სექტემბერს ზღვაზე მოკავშირეთა უდიდესი მარცხის შედეგად, უნუგეშობაში ჩავარდნილს სტალინს მთელი სიძლიერით აეშალა მეორე ფრონტის გახსნის სურვილი; ამ საკითხმა, როგორც „ნიუს ქრონიკლი" გადმოგვცემს, მეტად მცხუნვარე დავისა და უთანხმოების ხასიათი მიიღო.

პანიკასა და უიმედობას შეუპყრია ჩერჩილ - რუზველტი. საბჭოთა კავშირის გამოუვალი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო აძლიერებს უნდობლობის თესლს. ამერიკული პრესა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისის საზღვაო ფლოტმა სამარცხვინო მარცხნი განიცადა, ამაოდ სთვლის მოკავშირეთა ყველა ცდას, მიაწოდოს ზღვით შეიარაღება საბჭოეთს. „ნიუ ქრონიკლი" იქამდეც კი მივიდა, რომ ეთქვა: საბჭოთა კავშირმა ახლა მთელი იმედები უნდა დაამყაროს არა მოკავშირეთა დახმარებზე, არამედ ზამთარზეო. ასეთი გულახდილი განცხადებანი მკაფიოდ გამოხატავენ განწყობილებას, რომელიც ახლა სუფევს მოკავშირეთა ბანკში.

ინგლის - ამერიკის საზღვაო ძალების ყოველი განადგურება უფრო ამწვავებს უთანხმოებას ჩერჩილ-რუზველტსა და სტალინს შორის. თვითეული მათგანი საკუთარი ეგოისტური პოლიტიკით სინჯავს ყველა მარცხს. სტალინი უკმაყოფილოა და გაჰყვირის მეორე ფრონტზე, მოკავშირენი კი უნიათოდ ბორგავენ, დღე-დღეზე განიცდიან აურაცხველ დანაკარგს.

გმირული ბრძოლები, რომლითაც აღსავსეა გერმანიის საზღვაო ფლოტის ყოველდღიური ცხოვრება, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ უძლეველნი არიან გერმანიის სამხედრო საზღვაო ძალები.

# ინგლისის წინააღმდეგ

ეგვიპტის მოსახლეობა იბრძვის ინგლისელთა წინააღმდეგ.- ახალი მღელვარებანი ეგვიპტეში, — ძლიერდება ნაციონალურ გამანთავისუფლებელი მოძრაობა ინდოეთში. — საბოტაჟი ირაქში.

## ეგვიპტე

„პოპოლ დ იტალია“ იუწყება ახალ მღელვარებაზე ეგვიპტეში. ხალხის ფართო მასები იკრიბებიან ხელისუფლების შენობების წინ ქაირში აღშფოთებული ყვირილით არმიის მისამართით. სახელმწიფოებრივი შენობების დაცვის მიზნით გამოძახებულ იქნა ჯარი, რომელმაც სროლა დაუწყო დემონსტრანტებს. ეგვიპტის მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი წევრის მიმართ დაწესებული იქნა მეთვალყურეობა. ინგლისის სამხედრო ხელისუფალნი მოითხოვენ მეფე ფარუკას გადასვლას სუდანში.

## ინდოეთი

რეიტერის სააგენტო ადასტურებს ცნობებს ინდოეთის მდგომარეობის შესახებ, რომელიც გადაცემული იყო ბრიტანეთის საშინაო საქმეთა მინისტრის მაჭველლის მიერ. „ხუთი თვის მძიმე მდგომარეობის შემდეგ, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ამბოხება, ინდოეთში კიდევ არ დამდგარა სიმშვიდე. დღე ისე არ გაივლის, რომ არ მოხდეს თავდასხმა რკინის გზის ხაზზე, ტელეგრაფზე. ერთ - ერთ ასეთ თავდასხმისას რკინის გზაზე პენდჟაბში მოკლული იქნა 79 ინგლსელი ჯარისკაცი“.

## ირაკი

ანკარიდან იტყობინებიან, რომ ირაქში უფრო და უფრო ძლიერდება საბოტაჟი ინგლისის წინააღმდეგ. ინგლისის სამხედრო ხელისუფლებამ ჩრდილო ირაქის ყველა ქალაქში გააძლიერა თავისი გარნიზონი. საბოტაჟი ძლიერ აძნელებს ბენზინის გადაზიდვას ინგლისელთა მიერ მახლობელ აღმოსავლეთის მხარეში. ლიბანონაში აკრძალულია სარგებლობა კერძო ავტომანქანებით. დამრღვევნი ამ წესისა დაისჯებიან სამხედრო სასამართლოს მიერ.



გერმანიის ჯარის წინსვლა მდინარე ყუბანის გასწვრივ




## მეცხვარის სიკვდილი *)

შირაქში ერთმა მეცხვარემ სიზმარი ნახა ტიალი,
დაჯდა და მწყემსებს უამბო, სარქალიც ჰყავდა ჭკვიანი.
წუხელი, ბიძავ, სიზმარში ქარი ჰქროდა და გრიგალი,
მოჰგლიჯა ჩვენი ფარეხი, ზეცას გაჰქონდა გრიალი.
ან მე მოვკვდები, ბეჩავი, ან ცხვარს მოუვა ზიანი...
ბიძამ მიუგო,—შინ წადი, იქ ხომ არა გაქვს ზიანი!
ყველა შეკრიბა მწყემსები, ვისაც რა ჰყავდა ზიარი,
ყველას თავისი გაუყო, დარჩა ცხრა ათასიანი.
მეცხვარემ ლურჯა მოჰგვარა, ლურჯა ცხრა გარსარტყიანი,
ზედ შეჯდა ჩვენი ფირუზი, მიფრინავს ვითა ნიავი;
დილას წასული ვაჟკაცი საღამოს ალვანში არი.
წინ დედა შემოეგება, დედაი თვალცრემლიანი:
შვილო, რად მოხველ, ფირუზო, ეხლა ხომ დოლის დრო არის?!
დედი, გაშალე ლოგინი, სულის ამოსვლის დრო არი!..
გაშალა დედამ ლოგინი, ვაეი შიგ ჩაწვა ხმიანი,
გვერდით მოუჯდა ლამაზი, ცხრა ნაწნავ გიშრის თმიანი:
გენაცვა, ერთი ხმა გამე, აქ ნუ დამაგდე ტიალი.
შუა ღამე რომ შეიქნა, ვოემა დაიწყო ხრიალი,
უბედურ მისმა დედამა საშინელ მორთო ღრიალი.
როცა ფირუზი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა სჰქდა, მიწა გვრგვინავდა,—სული გვიანა ჰხდებოდა!..
ჩამოდიოდა ვარსკვლავი, მთვარეც უკუღმა დგებოდა,
ქორ-შევარდენი, არწივი სულ მხრებით იხოშებოდა...
ციცაბ ჭიუხთა ნადირი სატირლად ემზადებოდა,
დედას იმისას, საბრალოს, ტირილით სული ჰხდებოდა,
მამა იმისი, ბეჩავი, თმა-წვერით იხოშებოდა.

## შაირები

ვიწროა გუდამაყარი, განა კახეთის ველია,
სამ კოკა ღვინოს ზიდავდა ხელხალაურის ცხენია.

არშის თავს ვეფხი მოვკალი, სამჯერ საომრად მეტია,
პურადი კაცი მამაცზედ სამი გაფრენით მეტია.

თქვენთან მეწადა ,არწივნო, ჰამა-სმა, ლხინი გრძელია,
რა დადგეს უდარობაი, გადმომაფარეთ ფრთენია.

*) ლექსი თქმული ლეგ. ნ.-ა-ს მიერ,—ამ ლექსს ხშირათ მღერიან ფანდურზე ლეგიონერები.

# წითელი არმია იხრწნება

წითელი არმიის დანაკარგი გასაოცარია. ისტორიამ არ იცის განადგურების მსგავსი მაგალითი. გერმანიის მძლავრი ავიაციის განუწყვეტელი იერიშებით, მთელი კვირაობით უძინარი, მშიერი და ღონემიხდილი საბჭოთა არმია დემორალიზებულია. კატასტროფიულ მდგომარეობაშია ზურგი. დანგრეულია რკინიგზების კვანძები, გადამწვარნი არიან ქალაქები და სოფლები, გზებზე ჰყრიან გადაპირქვავებული ტანკები, დამსხვრეული ავტო-მანქანები, ჯავშნოსნები. მდინარეებთან ჩაფლულნი არიან სამხედრო საჭურველითა და სურსათით დატვირთულნი ეშელონები. ათასეულობით დაჭრილნი და მოკლულნი, განადგურებული სამხედრო ნაწილები, მშიერი და სასოწარკვეთილი ჯარისკაცები. ასეთია საერთო სურათი საბჭოთა ზურგისა.

იხრწნება წითელი არმია. ჯარისკაცებმა დაჰკარგეს ბრძოლის უნარი. ბოლშევიკებს აღარ შესწევთ უნარი შეჰკრან არმია როგორც სამხედრო ერთიანი ორგანიზმი. ფრონტზე სუფევს დაბნეულობა, ჯრისკაცები ჰყრიან იარაღს, მეთაურობა ველარ ერკვევა ურთულეს მდგომარეობაში. სიმშილისაგან შევიწროებული წითელარმიელები სტეხენ საწყობებს, გახშირდა თვითმკვლელობა, მთელი ნაწილები ვარდებიან ტყვედ, თავბრუდახვეული წითელი სარდლობა იძლევა სასიკვდილო ბრძანებებს, ჯარისკაცებს დარჩენიათ მხოლოდ ერთი რამ: გაექცნენ ფრონტს.

ავისტოს თვეში ბოლშევიკებმა ფრონტზე გაგზავნეს 126 მსროლელი დივიზია. მისი საბრძოლო შემადგენლობა 12 000 კაცს აღემატებოდა. ბრძოლების შედეგად დივიზიამ დაჰკარგა 7 000 კაცი. 208 დივიზიაში ბრძოლის მერამდენიმე დღეს ჯარისკაცთა რაოდენობა 3 ათას - ხუთასამდე დავიდა. როგორც ტყვეთა ჩვენებებიდან და სხვა ცნობებიდან სჩანს, აღნიშნულ დივიზიებიდან ჯარისკაცთა საგრძნობი ნაწილი ტყვედ ჩავრდა, იარაღი დაჰყარა.

კალაჩთან ახლოს ტყვედ ჩავარდნილი უფროსი ლეიტენანტი მოგვითხრობს: „გამუდმებულმა უკანდახევამ და უტაქტიკო ბრძოლებმა სრულიად მოჰსპეს საბჭოთა მეომრები. მეთაურებმა დაჰკარგეს მდგომარეობის შეფასების უნარი. სამხედრო ნაწილები დამოუკიდებლად მოქმედებენ. სარდლობასთან კავშირი გაწყვეტილია“. უთავბოლობა სცემს წითელი არმიის ბრძოლის უნარს. ხშირია შემთხვევა, — საბჭოთა ჯარის ნაწილები ერთმანეთს ესვრიან. ჯარისკაცები დაძრწიან ფრონტის მახლობელ სოფელში, ართმევენ მოსახლეობას საკვებს, არბევენ სახლებს. კალაჩთან ბრძოლებისას ერთ-ერთი უმფროსი ლეიტენანტის რაზმი უკან იხევდა. უცბად მათ სროლა აუტეხეს. უკანასკნელმა ბრძანება გასცა უპასუხებინათ. იერიშისას გამოირკვა, რომ ესვრიან წითელარმიელებს, რომლებიც დარჩნენ რომელიღაც განადგურებულ პოლკისაგან. ერთ მხარეზე იყო მოკლული 64 საბჭოთა ჯარისკაცი, მეორეზე —185. ამ სამარცხვინო მდგომარეობის დასაფარავად პოლიტრუკებმა გამონახეს ხერხი. უმფროსებს აცნობეს, თითქოს წითელ არმიელთა ფორმაში გადაცმული გერმანელები დაესხნენ თავს.

წითელარმიელები, მეთაურები გრძნობენ არმიის გახრწნას. მათ აღარ შესწევთ უნარი იბრძოლონ. ყოფილი წითელი მეთაური გადმოგვცემს, რომ კომისრები, ბოლშევიკების - საიდუმლო ნაწილები ასეულობით ხვრეტენ ჯარისკაცებსა და მეთაურებს ფრონტზე იმისათვის, რომ ამცლავნებდნენ საჭოთა მარშლების უვიცობას, ლაპარაკობენ კატასტროფიულ მდგომარეობაზე. „წითელ არმიაში დაიწყეს ახალი შემოწმება. ვინც გაბედავს სტალინის ბრძანებაზე ხმა ამოიღოს, ან ილაპარაკოს გერმანიის არმიის უპირატესობაზე, მყისვე ხვრეტენ. დააპატიმრეს ასეულობით მეთაურები, რომლებსაც რევოლუციამდე უმსახურიათ არმიაში. საეჭვოებს ჯარისკაცთა რიგებში ადგილზევე ხვრეტენ.“

სტალინის ბრძანებით წითელი არმიის ზურგში ფრონტზე შექმნილია „საგანგებო რაზმები“. მათ ამოცანას შეადგენს დახვრიტონ ყველა, ვინც კი გაბედავს უკან დახევას. რაზმები შეიარაღებულნი არიან ტყვიამფრქვევებით. სად უნდა წავიდეს ჯარისკაცი? წინ მტერი ისვრის, უკან „საგანგებო რაზმი“. სტალინის „სასიკვდილო ბრძანებათა“ მსხვერპლნი ათასეულებია.

გერმანიის არმიის იერიშები ისე ძლიერნი არიან, რომ წითელ არმიას არ შესწევს უნარი არათუ წინაღუდგეს, არამედ თანაზომიერად მოაწყოს უკან დახევა. უკანდახევა ატარებს უწესრიგო ხასიათს, მეთაურები ცალკე გარბიან, ჯარისკაცებიცალკე,დაჭრილებს ჰკლავენ, იარაღს ჰყრიან. როგორ ექცევიან კომისრები დაჭრილ წითელარმიელებს, ნახავთ ერთ-ერთი სამედიცინო მუშაკის ნაამბობიდან: ქალაქ ვოროშილოვსკი მოიცვა პანიკამ, ტიმოშენკოს განადგურებული ნაწილები უკან იხევდნენ. ლაზარეთში ამ დროს ასეულობით იყვნენ მძიმედ დაჭრილნი. ბრძანეს: ყველა ავადმყოფი გამოცხადებულიყო ნივთებით ზურგში გასაგზავნად. ამ ბრძანების შესრულება შეეძლო ხუთიოდე კაცს. დარჩენილი დაჭრილნი ბედის ანაბარადაც არ დატოვეს. კომისარმა რევოლვერით ჩამოუარა ოთახებს, საწოლებზე დახვრიტა ავადმყოფნი. მოკლულები შეჰკრიბეს, კომისარმა გადაიღო მათი ფოტო-სურათი. როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ ეს სჭირდებოდათ აგიტაციისათვის, ეჩვენებინათ ჯარისკაცისათვის, რომ ყველა მათგანის ხვედრი ასეთი იქნებოდა, თუ ჩავარდებოდნენ გერმანელთა ხელში. ასეთი ხრიკებითა და გაიძვერული მეთოდით სცდილობდნენ კომისრები აღედგინათ წითელი არმიის დაცემული სული.

წითელ ჯარისკაცებს ტანჯავთ ბრძანებანი. ტიმოშენკო ბრძანებს უკან დაიხიონ. სტალინი ბრძანებს: „არც ერთი ნაბიჯი უკან“, და ყველა ამის მსხვერპლნი არიან ათასეულობით ადამიანები. წითელი არმია იხრწნება მორალურად. სტალინის ბრძანებებს არ შეუძლიათ აამაღლონ მისი დემორალიზებული საბრძოლო უნარი, სული გერმანიის იარაღი, ტაქტიკა ძლიერია სტალინის ბრძანებებზე. ამის ნათელი დადასტურება არის საბჭოთა არმიის დანაკარგი, გადაგვრება, კატასტროფა.

ლეგ. ა. თ.

## მოკლე ცნობები

✱ როიტერის სააგენტო ოტავიდან იუწყება, რომ კანადის დანაკარგი: მოკლულთა, დაჭრილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთო რიცხვი 3350 კაცს.

✱ ნიკარაგუას ხელისუფლებამ დააპატიმრა სამი გენერალი; მათ ბრალს სდებენ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობის მოწყობაში.

✱ კანადის მთავრობამ ჩაატარა რკინის ნამსხვრევების შეგროვება. იგი მოუწოდებს მოსახლეობას, რომ თუ ზამთრის დაწყებამდე არ იქნა შეგროვილი საჭირო რაოდენობის რკინის ნამტვრევები, იძულებულნი იქნებიან შეაჩერონ მუშაობა ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნებში.

✱ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გვატემელაში და პანამაში შეიყიდა მთელი რეზინის მოპოვება 1946 წლამდე.

✱ ნავთსაწმენდმა ქარხნებმა სირიაში მუშაობა შესწყვიტეს.

✱ ჩან-კაი-შეკმა ვაშინგტონიდან უკანვე გაიწვია თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

✱ ბავშვთა ბოროტმოქმედებანი ამერიკის შეერთებულ შტატებში თანდათან იზრდება. ბავშვთა ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის საზოგადოების ყრილობაზე ელეონორა რუზველტი გამოვიდა სიტყვით. მან აღნიშნა, რომ ბოროტმოქმედებათა რიცხვი ჩადენილი ბავშვთა მიერ ომის დაწყებიდან გაიზარდა 45 პროცენტით.

✱ შამონში გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე მაღალი საჰაერო რკინიგზა. იგი გაყვანილია 3650 მეტრის სიმაღლეზე. პირველ ტვირთად ამ გზაზე გადატანილი იყო ვებერთელა ტელესკოპი ობსერვატორიისათვის, რომელიც მთის მწვერვალზეა მოწყობილი. ამ ობსერვატორიას ხელმძღვანელობს ფრანგი მეცნიერი რეისნერუ.



გერმანიის სამხედრო დროშა ალმართულია ტამანის ნახევარ კუნძულზე

## ჩვენი თვითშემოქმედება

ქართული ლეგიონის მებრძოლთა შორის ფართო გასაქანი აქვს თვითშემოქმედებას. დასვენების დღეებში, მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, მინდვრად ხშირად იმართება ცეკვა-თამაში, ქართული ჭიდაობა. ჩამოყალიბებულია ლეგიონერთა მომღერალი გუნდი, რომელიც ოსტატურად ასრულებს ქართულ ნაციონალურ სიმღერებს: „სულიკო„, „ჩემო ციცინათელავ“, „მეტიური“, „თამარ ქალო“, „დაიგვიანეს“, „შენ რაღას იტყვი არაგვო“ და სხვა.

ლეგიონს ჰყავს საუკეთესო მეფანდურენი. მათ თვით გათალეს ჩონგურები. ისინი ასრულებენ ფშავ-ხევსურულს, კახურს, გურულს, მოხევურს ხალხურ სიმღერებს, შაირებს. არიან კარგი მოცეკვავენიც. დასვენების დღეს ქართულ ნაციონალურ სიმღერებთან ერთად შეგიძლიათ უცქეროთ საქართველოს ყველა კუთხის ცეკვებს: „ხორუმს“, „დავლურს“, აფხაზურს, ოსურს, მთიულურს.

ლეგიონის მებრძოლები ამჟამად მუშაობენ იმისათვის, რათა ჩამოაყალიბონ დრამატიული წრე, რომელიც კიდევ უფრო გაამხიარულებთ მებრძოლთ. განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს ლეგიონში ფიზკულტურა. ლეგიონს ჰყავს საუკეთესო ფეხბურთელნი, სტადიონზე ხშირად იმართება შეჯიბრები.

ლეგიონის ხელმძღვანელობა მზრუნველად ეკიდება ლეგიონში შემოქმედებითი მუშაობის გაშლის საქმეს. დასვენების დღეებში სისტემატიურად იმართება კინო-სეანსები გერმანიის არმიის ცხოვრებიდან. ასე მხიარულია ცხოვრება ქართულ ლეგიონში.

ლეგ. შ. ა.

## გასართობი

### შეადგინეთ სიტყვები



ააააა, ბ, ეე, ვვ, თ, იიიიიიიი, ლლლლ, მ, ნნ, რ, სსსს, უუ, ხ.

ამ ასოებისაგან შეადგინეთ სიტყვები შემდეგნაირად:

პირველ ჰორიზონტალურ სტრიქონში: ქართველი გენიალური მწერლისგვარი. ვერტიკალურ სვეტებში:

1. ამოსაცნობის სახელი, 2. მთის სახელი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, ამ მთაზე ცეცხლს ანთებდნენ ღმერთები. 3. სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, 4. ცნობილი ბერძენი ტრაგიკოსი, 5. მაჰმადიანური სარწმუნოება.

### ამოიცან...

1. თამარ მეფის დროის ოქრომჭედელი. — 2. ყველაზე დიდი ტბა მსოფლიოში. — 3. ვინ დასწერა „ანტიგონე“? — 4. „შევიდე ტაძარსა წმინდასა შინა, თაყვანი ვსცე ტაძარსა წმინდასა, ძველსა“, რომელ ქართულ ტაძრის შესავალში სწერია ეს სტრიქონები? — 5. ვის და როდის აჩუქა პეტრე დიდმა ვოლგაზე მდებარე ცნობილი ქალაქი? — 6. რომელ ომში და სად მიიღო მონაწილეობა ლ. ტოლსტოიმ? — 7. რისთვის იხმარება ლიტოპონი? — 8. ცნობილი ტაძარი ბულგარეთში. — 9. ხალხური თქმულებაა: „ხმა კარგია, სიტყვები კი არა ყურანისაო“? — 10. ესპანური ფული. — 11. ძველი ბაბილონის სამეფო ეპოსი. — 12. რომელ ევროპულ ქალაქზეა ნათქვამი: „ნეტავ მანახვა და შემდეგ მომკლაო“? — 13. რა ჰქვიან ლეონარდო და-ვინჩის ცნობილ ნახატს, რომელიც 7 წელი ხატა? 14. რა დროს ჰკრეფენ ქინაქინის ქერქს ამერიკაში? — 15. რომელი ცხოველია —პატარობისას გონიერია, იზრდება — გონება უმცირდება?

### ჭადრაკი ევროპის პირველობაზე

15 სექტემბერს ქ. ზალცბურგში დაიწყო საჭადრაკო ტურნირი ევროპის ჩემპიონის სახელწოდებაზე. ტურნირში მონაწილეობს 24 სახელმწიფოს წარმომადგენელი მსოფლიოჩემპიონის ალიოხინის მეთაურობით. დანაწილება მოხდა ორ ჯგუფად 12 კაცი თითოეულში. ჯგუფებში გამარჯვებულნი მიიღებენ მონაწილეობას მატჩში ევროპის ჩემპიონის სახელწოდებაზე. ყველაზე ძლიერ პრეტენდენტებად, საჭადრაკო პრესის აზრით, ითვლებიან მსოფლიო ჩემპიონი ალიოხინი, ესტონეთის ჩემპიონი კერესი და 19 წლის გერმანელი მოჭადრაკე კლაუს იუნგე.

იტალიელ ნაპოლტანოზე გამარჯვების შემდეგ ტურნირის სათავეში დგას ალიოხინი.



# იუმორი

## ანეკდოტები...

### მიშველეთ!

კოლმეურნე ილარიონ გუდაფშუტაძე მოსკოვში იყო კოლმეურნეთა სრულიად - საკავშირო ყრილობაზე. ერთ დღეს იგი კალინინს შეხვდა და თხოვნით მიმართა:

— ამხანაგო, კალინინ! ნება დამრთეთ გამოვიდე რადიოთი და უცხოეთის მოძმეებს, მშრომელებს გადავცე ის, რაც აფრთოვანებს ჩემს სულს!

— არ შეიძლება, —მიუგო კალინინმა,— რადიოსთან სიტყვას წაკითხვა უნდა, შენ კი ეს არ შეგიძლია.

ილარიონ გუდაფშუტაძე ჩააცივდა კალინინს, თავი მოაბეზრა ხვეწნით. მუდარამ გასჭრა. გლეხს ნება დართეს ერთი სიტყვა წარმოეთქვა. იგი მივიდა მიკროფონთან და მთელის ხმით, ქვეყნის გასაგონად დასჭექა: მი—შვე—ლე—თ!

### ყველაზე იაფი, ყველაზე სასიხარულო...

სტალინმა მოლოტოვს და ვოროშილოვს მიანდო მოეფიქრებინათ საჩუქრები ოქტომბრის რევოლუციის წლისთავისათვის, იმ პირობით, რომ ხალხი მადლიერი ყოფილიყო, მთავრობას კი საჩუქრები იაფი დაჯდომოდა. მათ იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს რჩევისათვის მიმართეს ბუხარინს. უკანასკნელმა უპასუხა:

—ამისათვის დაგჭირდებათ სულ სამი მანეთი, იყიდეთ ბაწარი, ამ ბაწრით სტალინმა ჩამოიხრჩოს თავი. ეს დაგიჯდებათ იაფი და ყველაზე უფრო სასიხარულო იქნება ხალხისათვის.

## მართლაც...

ბოლშევიკებმა გლეხობა „გაანთავისუფლეს„! მართლაც გლეხობა განთავისუფლდა მიწისაგან, პირუტყვისაგან, უძრავ-მოძრავ ქონებისაგან, პატიოსნებისაგან.

გლეხობა „ფეხზე დადგა“,—მართლაც გლეხი მთელი კვირეები იდგა ქალაქში გაუთავებელ რიგებში: პურისათვის, ნავთისათვის, ჩითისათვის, შაქრისათვის, ფეხსაცმელისათვის.

სოფელში „უცოდინარობა მოისპო“,—მართლაც სოფელში ვერ ნახავდით კაცს, კომბინაციის კეთება, ქურდობა და წამგლეჯაობა არ ესწავლოს. გლეხი „განვითარდა“,—მართლაც წინად სასამართლოს უწყებასა და ფულს თუ იცნობდა, ახლა კილომეტრიდან ცნობს „რემედასის“, „წითელი ჯვრის“, „თავდაცვა - ავიაქიმის“, „ოზეტის“, ბილეთებს, თვით - დაბეგვრის ფურცელს, კულტგამოსალებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უწყისებს, საარჩევნო ბარათს; იცის, რომ ეს ბარათი უცვლელად უნდა ჩააგდოს ყუთში. გლეხი „კულტურული“ გახდა,—მართლაც ახლა ქალაქიდან გამომცხვარ პურს ფუთობით ეზიდება, ავტო-მანქანის რეზინისაგან შეკერილი წაღები აქვს, დროშას ყიდულობს, სავცალი არ აცვია. არჩევნებისას, მთელი წლის განმავლობაში, ძლივს ასწავლეს თითის აწევა, კერძში კი ორივე ხელი უცბად ასწია. ჭეშმარიტად „გაანათლეს“ გლეხობა ბოლშევიკებმა.!

ლეგ. შ. ვ.




ჩერჩილი: ჩვენი დანაკარგი ზღვაზე არც ისე საშინელია, ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს თვალთაბედვაზე...


პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლეგ. ნ. მადაურიძე.

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28.

სტამბა: Deutscher Verlag, Berlin